ხელშეკრულება № 07-86/2

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 22.07.2016 წ.

ერთი მხრივ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის ქეთევან ნატრიაშვილის სახით და მეორე მხრივ, შპს „ბეთერ ფლაი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ჯაშის სახით, 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის „განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება" (კოდი: 32 0101) ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 11 ივლისის N848433 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 18 ივლისის N2098 განკარგულებისა და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 21 ივლისის N1500 განკარგულების შესაბამისად, ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ქიმიის 48-ე საერთაშორისო ოლიმპიადის სარეკლამო კამპანიის ფარგლებში 20 წამიანი გრაფიკული სარეკლამო რგოლის სატელევიზიო ეთერში განთავსება (CPV: 79341400) დანართის შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 50080,82 (ორმოცდაათი ათას ოთხმოცი ლარი და 82 თეთრი) ლარს.

3.2 მომსახურების განფასება სატელევიზიო არხების მიხედვით (დანართი N1):

სატელევიზიო არხი „რუსთავი 2" – 36635,8 (ოცდათექვსმეტი ათას ექვსას ოცდათხუთმეტი ლარი და 80 თეთრი) ლარი;

სატელევიზიო არხი „იმედი" – 11701,97 (თერთმეტი ათას შვიდასერთი ლარი და 97 თეთრი) ლარი;

სატელევიზიო არხი „მაესტრო" – 1743,05 (ერთი ათას შვიდასორმოცდასამი ლარი და 05 თეთრი) ლარი.

3.3 მომსახურების ერთეულის ფასები მოცემულია დანართ N2-ში (მედია-გეგმები).

3.4 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაციის (მიღება-ჩაბარების აქტის) გაფორმების საფუძველზე.
4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი დოკუმენტაციის ხელმოწერიდან 15 კალენდარული დღის ვადაში.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაციის (მიღება-ჩაბარების აქტი) გაფორმების შემდეგ.
5.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია: სატელევიზიო არხების საეთერო ცნობები სარეკლამო რგოლის განთავსების შესახებ, ფაქტიურად გაწეული მომსახურების ამსახველი მედია-გეგმები (სარეკლამო რგოლის განთავსების მცოცავი გრაფიკის „ცურვის" ჩვენებით) და კონტროლის განმახორციელებელი პირის დასკვნა.
5.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.

6. მომსახურების გაწევის ვადა

მომსახურება განხორციელდება 2016 წლის 22 ივლისიდან 1 აგვისტომდე (10 დღის განმავლობაში).

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) შემსყიდველს გაუწიოს ხელშეკრულების დანართში მითითებული მომსახურება. იგი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხზე;
ბ) უზრუნველყოს ტელეკომპანიების „რუსთავი 2", „იმედი" და „მაესტროს" სატელევიზიო ეთერში შემსყიდველის მიერ მიწოდებული სარეკლამო რგოლის განთავსება, ჯამურად 100-ჯერ კამპანიის განმავლობაში, დღეში თითოეულ არხზე არანაკლებ 3-ჯერ გაშვება.
გ) სამივე არხზე გრაფიკული რგოლი უნდა განთავსდეს პრაიმ ტაიმში.
დ)სამივე არხზე აუცილებლად უნდა იყოს გამოყენებული მაღალრეიტინგული შოუები და საინფორმაციო გადაცემები ;
დ) სარეკლამო კამპანიის დასრულების შემდეგ მიაწოდოს შემსყიდველს სატელევიზიო არხების საეთერო ცნობები რგოლების განთავსების შესახებ და საბოლოო ფაქტიურად გაწეული მომსახურების ამსახველი მედია-გეგმები (სარეკლამო რგოლის განთავსების მცოცავი გრაფიკის „ცურვის" ჩვენებით).
7.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია:
ა) სარეკლამო კამპანიის მიმდინარეობის დროს გამოიყენოს რგოლის განთავსების მცოცავი გრაფიკი, რაც გულისხმობს 10%-იანი „ცურვის" ფარგლებში (90%-იანი ფიქსირებული განთავსება).
ბ) მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.3 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) მიაწოდოს მიმწოდებელს სარეკლამო რგოლი ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 დღის ვადაში.
ბ) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.
7.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

8 . ხელშეკრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.

8.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონტროლისა და ზედამხედველობის განმახორციელებელი პირია საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ღონისძიებებისა და პროექტების მართვის სამმართველოს უფროსი ნატალია დგებუაძე (მისი არყოფნის შემთხვევაში, შესაბამისად უფლებამოსილი პირი).

8.3. სარეკლამო კომპანიის დასრულების შემდგომ კონტროლის განმახორციელებელი პირი ადგენს აქტს ხელშეკრულების პირობების შესაბამისობასთან დაკავშირებით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებით გაწეული მომსახურების ღირებულების 1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.2 სარეკლამო კამპანიის პერიოდში მაქსიმუმ 5 (არაუმეტეს 5) განუხორციელებლი გაშვების შემთხვევაში (ფორსმაჟორული პირობების გარდა) შემსყიდველი უფლებამოსილია გამოიყენოს პირგასამტეხლო გაუწეველი მომსახურების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9.3 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის (არაჯეროვან შესრულებად ჩაითვლება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სისტემატიურად ხარვეზით შესრულება ან დარღვევა) შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება ცალმხრივად და დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9.4 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი მომსახურების გაწევის ვადებს გადააცილებს 10 დღეს, "შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და ასევე დააკისროს პირგასამტეხლო 9.3 პუნქტის შესაბამისად.

9.5 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.6 დაკისრებული პირგასამტეხლო გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადისა.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების და-დგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ფორსმაჟორი

11.1 მხარეებს მოეხსნებათ პასუხისმგებლობა, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ნაწილობრივი ან სრული შეუსრულებლობისთვის, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ გაჩენილი ფორსმაჟორული მდგომარეობით.

11.2 ამ ხელშეკრულების კონტექსტში ზემოთხსენებულ მოვლენებს მიეკუთვნება: სტიქიური უბედურება, ომი ან საომარი მოქმედებები, გაფიცვა დარგში ან რეგიონში, საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტი (კანონი ან/და კანონქვემდებარე აქტი), ასევე სამაუწყებლო ეთერის ოპერატიული გადაცემა საქართველოს ოფიციალური პირების გამოსვლისთვის, სახელმწიფო მმართველების ოფიციალური ვიზიტის გაშუქება და სხვა გარემოებები, რაც შეუძლებელს ხდის ან/და ართულებს მხარის მიერ ნაკისრი

ვალდებულებების შესრულებას. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია წარმოადგინოს ტელეარხებიდან ოფიციალური წერილობითი დასაბუთება.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 1 ოქტომბრის ჩათვლით, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

14. ინტერესთა კონფლიქტი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

15. დასკვნითი დებულებები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი რჩება შემსყიდველს, ერთი – მიმწოდებელს.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
მის: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52
საიდენტიფიკაციო კოდი 202051224
სახელმწიფო ხაზინა (ა/ა 200122900)

მინისტრის პირველი მოადგილე
ქეთევან ნატრიაშვილი

მიმწოდებელი:
შპს „ბეთერ ფლაი"
მის: ქ. თბილისი, ზემო ვეძისის ქ. 21
ტელ: 2509966
ს/კ205265979
სს „ბანკი რესპუბლიკა" REPLGE22
GE44BR0000010491385670

დირექტორი
დავით ჯაში

Channel	Rustavi2
Product	Ganatlebis Saministro

Dows	Prog. Descr.	Support Name	Start time	Plan Ins.	Total Sec	1Min Price in GEL	Total Gross Price in GEL	Total Gross Price in GEL Seasonal +10%	Discount %	Total Net in GEL	Week 29			Week 30						
											22	23	24	25	26	27	28	29	30	31
											Fri	Sat	Sun	Mon	Tue	Wed	Thu	Fri	Sat	Sun
-----SS	KURIERI 18:00	In #1	18:15	4	80	GEL 8,545.75	GEL 11,394.33	GEL 12,533.76	64.83283%	GEL 4,407.77		20	20						20	20
-----SS	KURIERI 18:00	In #1	18:15	4	80	GEL 8,545.75	GEL 11,394.33	GEL 12,533.76	64.83283%	GEL 4,407.77		20	20						20	20
MTWTF--	KURIERI 18:00	In #1	18:25	6	120	GEL 8,545.75	GEL 17,091.49	GEL 18,800.64	64.83283%	GEL 6,611.65	20			20	20	20	20	20		
------S	EQIMEBI	In #1	18:50	1	20	GEL 12,760.09	GEL 4,253.36	GEL 4,678.70	64.83283%	GEL 1,645.37										20
MTWTF--	TSKHOVREBIS GZEBI SERIAL	After	20:00	6	120	GEL 9,131.07	GEL 18,262.14	GEL 20,088.35	64.83283%	GEL 7,064.51	20			20	20	20	20	20		
------S	COMEDY SHOW	In #1	20:00	1	20	GEL 16,389.10	GEL 5,463.03	GEL 6,009.34	64.83283%	GEL 2,113.31			20							
-----S-	GAATSINE DA MOIGE	In #1	20:10	2	40	GEL 12,877.15	GEL 8,584.77	GEL 9,443.24	64.83283%	GEL 3,320.92		20							20	
MTWTF--	SHENI ZODIAQOS FERI SERIAL	In #1	20:20	6	120	GEL 9,131.07	GEL 18,262.14	GEL 20,088.35	64.83283%	GEL 7,064.51	20			20	20	20	20	20		
				30	**600**		**GEL 94,705.59**	**GEL 104,176.14**		**GEL 36,635.80**	**3**	**3**	**3**	**3**	**3**	**3**	**3**	**3**	**3**	**3**

Channel	Imedi
Product	Ganatlebis Saministro

Dows	Prog. Descr.	Support Name	Start time	Plan Ins.	Total Sec	1Min Price in GEL	Total Gross Price in GEL	Total Gross Price in GEL Seasonal -5%	Discount %	Total Net in GEL	Week 29			Week 30						
											22	23	24	25	26	27	28	29	30	31
											Fri	Sat	Sun	Mon	Tue	Wed	Thu	Fri	Sat	Sun
-----SS	PATARDZALI SERIAL	In #1	18:02	4	80	GEL 6,789.77	GEL 9,053.03	GEL 8,600.38	82.10503%	GEL 1,539.03		20	20						20	20
MTWTF--	PATARDZALI SERIAL	In #2	18:30	6	120	GEL 6,789.77	GEL 13,579.54	GEL 12,900.56	82.10503%	GEL 2,308.55	20			20	20	20	20	20		
-----SS	PATARDZALI SERIAL	In #2	18:37	4	80	GEL 6,789.77	GEL 9,053.03	GEL 8,600.38	82.10503%	GEL 1,539.03		20	20						20	20
MTWTF--	PATARDZALI SERIAL	In #3	19:00	6	120	GEL 6,789.77	GEL 13,579.54	GEL 12,900.56	82.10503%	GEL 2,308.55	20			20	20	20	20	20		
-----SS	PATARDZALI SERIAL	In #3	19:20	3	60	GEL 6,789.77	GEL 6,789.77	GEL 6,450.28	82.10503%	GEL 1,154.28		20							20	20
MTWTF--	PATARDZALI SERIAL	In #4	19:30	4	80	GEL 6,789.77	GEL 9,053.03	GEL 8,600.38	82.10503%	GEL 1,539.03				20		20	20	20		
MTWTF--	QRONIKA 20:00	In #1	20:15	2	40	GEL 7,726.29	GEL 5,150.86	GEL 4,893.32	82.10503%	GEL 875.66	20				20					
------S	ILO BEROSHVILIS SHOW	In #2	23:35	1	20	GEL 7,726.29	GEL 2,575.43	GEL 2,446.66	82.10503%	GEL 437.83			20							
				30	**600**		**GEL 68,834.22**	**GEL 65,392.51**		**GEL 11,701.97**	**3**	**3**	**3**	**3**	**3**	**3**	**3**	**3**	**3**	**3**

Channel	Maestro
Product	Ganatlebis Saministro

Dows	Prog. Descr.	Support Name	Start time	Plan Ins.	Total Sec	1Min Price in GEL	Total Gross Price in GEL	Total Gross Price in GEL Seasonal -5%	Discount %	Total Net in GEL	Week 29			Week 30						
											22	23	24	25	26	27	28	29	30	31
											Fri	Sat	Sun	Mon	Tue	Wed	Thu	Fri	Sat	Sun
MTWTF--	KONTAQTI 18:00	In #1	18:10	6	120	GEL 2,107.17	GEL 4,214.34	GEL 4,003.62	95.08162%	GEL 196.91	20			20	20	20	20	20		
MTWTF--	KONTAQTI 18:00	In #1	18:10	6	120	GEL 2,107.17	GEL 4,214.34	GEL 4,003.62	95.08162%	GEL 196.91	20			20	20	20	20	20		
-----SS	KONTAQTI 18:00	In #1	18:10	4	80	GEL 2,107.17	GEL 2,809.56	GEL 2,669.08	95.08162%	GEL 131.28		20	20						20	20
-----SS	KONTAQTI 18:00	In #1	18:10	4	80	GEL 2,107.17	GEL 2,809.56	GEL 2,669.08	95.08162%	GEL 131.28		20	20						20	20
-----S-	DOC FILM	In #1	18:45	2	40	GEL 2,575.43	GEL 1,716.95	GEL 1,631.11	95.08162%	GEL 80.22		20							20	
-----SS	SERIAL	Before	20:20	2	40	GEL 3,511.95	GEL 2,341.30	GEL 2,224.24	95.08162%	GEL 109.40			20							20
MTWTF--	KONTAQTI 20:00	In #1	20:30	5	100	GEL 3,511.95	GEL 5,853.25	GEL 5,560.59	95.08162%	GEL 273.49	20			20	20	20		20		
MTWTF--	KONTAQTI 20:00	In #1	20:30	4	80	GEL 3,511.95	GEL 4,682.60	GEL 4,448.47	95.08162%	GEL 218.79				20	20	20	20			
MTWTF--	SERIAL	Before	21:00	5	100	GEL 3,511.95	GEL 5,853.25	GEL 5,560.59	95.08162%	GEL 273.49	20			20	20		20	20		
MTWTF--	MAESTROS FAQTORI	In #1	21:40	2	40	GEL 4,214.34	GEL 2,809.56	GEL 2,669.08	95.08162%	GEL 131.28	20					20				
				40	**800**		**GEL 37,304.71**	**GEL 35,439.48**		**GEL 1,743.05**	**5**	**3**	**3**	**5**	**5**	**5**	**4**	**4**	**3**	**3**

შემსყიდველი:
ქეთევან ნატრიაშვილი

მიმწოდებელი:
დავით ჯაში